აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
მიზნობრივი პროგრამა

2013 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. **პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:**

   გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი

2. **პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

   " 1 იანვარი" 2013 წ

   “ 31 დეკემბერი “ 2013 წ

3. **პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი**

   1,250,000 (ერთი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) ლარი

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი		1,250,000	**ლარი**
ბ) დამატებითი	0		**ლარი**

5. **პროგრამის (ქვეპროგრამის) განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

   აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

6. **პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:**

გეგმიურ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია მიზნობრივი ღონისძიებები, რომლითაც ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეები ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში დაცული არიან ფინანსური რისკისგან. მძიმე სოციალური პირობების გამო, მოსახლეობის ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს გეგმიური ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურების დაფინანსება. მათ შორის არიან 18-დან 60 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები, რის გამოც იზრდება დაავადებათა გართულებების რაოდენობა, დროებითი და მყარი შრომისუუნარობის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიებისათვის სტაციონარულ სამედიცინო დახმარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა „გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი" (შემდეგში - კომპონენტი), რომელიც განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	18-დან 60 წლამდე ასაკის ბენეფიციარები და 60–დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გეგმიური ჰოსპიტალურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	სტაციონარული სამედიცინო დახმარების გამოსავალი; მომხმარებალთა რაოდენობა მომხმარებელთა კმაყოფილების დონე

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2013 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	**სულ**
	ძირითადი	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი**	1,250,000			**1,250,000**
	დამატებითი					**0**
	სულ		**1,250,000**	**0**	**0**	**1,250,000**

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	სამინისტროს მიერ დასაფინასებელი ფიქსირებული თანხა	სულ ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი
2012 წელი					
I	საქონელი და მომსახურება				
სულ საქონელი და მომსახურება					
II	სოციალური უზრუნველყოფა				
1	**ანგიოლოგია (მოზრდ. სტაც.)**				
L70,2	ქვემო კიდურების არტერიების მაობლიტირებელი ათეროსკლეროზი (ოპერაციული მკურნალობა პროტეზის გარეშე)	პაციენტი	5	1610	8,050
L70,2	ქვემო კიდურების არტერიების მაობლიტირებელი ათეროსკლეროზი (კონსერვატიული მკურნალობა ვაზოპროსტანით)	პაციენტი	6	1582	9,492
L 83	ქვემო კიდურის ვარიკოზული დაავადება, კანქვეშა ვენების ვარიკოზული გაგანიერება (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	5	805	4,025
I71.3	მუცლის აორტის ანევრიზმა	პაციენტი	3	2241	6,723
I82	დიდი კანქვეშა ვენის აღმავალი თრომბოზი (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	4	490	1,960
I80.8	არტერიულ-ვენური შუნტის თრომბოზი, თრომბექტომია	პაციენტი	7	280	1,960

I72	სხვა ანევრიზმა	პაციენტი	4	2241	8,964
2	**გინეკოლოგია (მოზრდ. სტაც.)**				0
D 27	საკვერცხის კეთილთვისებიანი სიმსივნეები. (კისტა, კისტის ფეხზე შემოგრეხა, აპოპლექსია, პოლიკისტოზი) ოპერაციული მკურნალობა	პაციენტი	13	840	10,920
N 73	მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაავადებები ენდომეტრიტი, პიოსალპინქსი, ტუბოოვარიულ წარმონაქმნი, (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	11	930	10,230
D 25	საშვილოსნოს ფიბრომიომა, საშვილოსნოს სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეები – ოპერაციული მკურნალობა	პაციენტი	34	883	30,022
	საშვილოსნოს გამოვარდნა (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	16	1050	16,800
	იუვენური სისხლდენები და მათი გართულებების ოპერაციული მკურნალობა	პაციენტი	7	870	6,090
	გარეთა სასქესო ორგანოების მომიჯნავე დაავადებების ოპერაციული მკურნალობა	პაციენტი	9	700	6,300
	საშოს კარიბჭის დიდი ჯირკვლის ანთებითი პროცესების ოპერაციული მკურნალობა	პაციენტი	8	560	4,480
3	**ოფთალმოლოგია**				0
H 40	გლაუკომა (ანტიგლაუკომატოზური ოპერაცია)	პაციენტი	5	249	1,245
H 28	დიაბეტური და სხვა რეტინოპატია (პანრეტინალური ლაზეროკაოგულაცია)	პაციენტი	6	245	1,470
H 25 H26	მოხუცებულობის კატარაქტა – ოპერაციული მკურნალობა	პაციენტი	50	326	16,300
H04.4	ჩირქოვანი დაკრიოცისტიტი (დაკრიოცისტორინოსტომია)	პაციენტი	4	315	1,260
H04.4	ჩირქოვანი დაკრიოცისტიტი (ზოგადი გაუტკივარებით)	პაციენტი	5	811	4,055
H26 Q 12	კატარაქტის სხვა სახეები (ტრამვული, თანდაყოლილი და სხვა)	პაციენტი	7	860	6,020

	ვიტრექტომია და ინტრაოკულარული ტამპონადა	პაციენტი	4	490	1,960
H 33	ბადურის რეგმატოგენური ჩამოცლა (ცირკლაჟი და პლომბირება)	პაციენტი	3	966	2,898
H 02.1	ექტროპიონის ქირურგიული მკურნალობა	პაციენტი	5	280	1,400
	ლაზერული ტრაბეკულოპლასტიკა	პაციენტი	4	154	616
	ენუკლეაცია და ევისცერაცია	პაციენტი	4	350	1,400
4	**ოტორინოლარინგოლოგია**				0
H 66 -- H 66.4	შუა ყურის ჩირქოვანი დაუზუსტებელი ანთება, ქრონიკული ეპიტიმპანურ-ანტრალური ჩირქოვანი შუა ოტიტი,სხვა ქრონიკული ჩირქოვანი შუა ოტიტი	პაციენტი	15	1095	16,425
J 32 J 32.4 -J 32.8	ქრონიკული სინუსიტი ქრონიკული პანსინუსიტი,პანსინუსიტი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული სხვა ქრონიკული სინუსიტები,	პაციენტი	12	1165	13,980
J 34.2	ცხვირის ძგიდის ხრტილოვან–ძვლოვანი ნაწილის გამრუდება	პაციენტი	22	420	9,240
J 35.0	ქრონიკული დეკომპენსირებული ტონზილიტი	პაციენტი	54	175	9,450
H-80	ოტოსკლეროზი	პაციენტი	4	840	3,360
5	**პროქტოლოგია**				0
I 84.0	ბუასილი სისხლმდენი (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	8	462	3,696
	პარაპროქტიტი, სწორი ნაწლავის ფისტულა, ანალური ნაპრალი, დერმოიდული კისტა	პაციენტი	8	725	5,800
6	**ნეიროქირურგია**				0
G 55	ხერხემლის არხის სტენოზი მალთაშუა დისკის თიაქარი - ოპერაცია	პაციენტი	25	1190	29,750
D33	ხერხემლისა და ზურგის ტვინის კეთილთვისებიანი სიმსივნეები (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	3	2345	7,035

D32	თავის ტვინის კეთილთვისებიანი სიმსივნეები (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	3	1449	4,347
7	**ორთოპედია -ტრავმატოლოგია**				0
T 14.2	გრძელი ლულოვანი ძვლების ახალი და ძველი შეუხორცებელი მოტეხილობა (ოპერაცია ოსტეოსინთეზი)	პაციენტი	8	1749	13,992
T 14.2	კიდურის მოტეხილობა (ჩონჩხოვანი დაჭიმვა)	პაციენტი	8	588	4,704
S 82	კოჭ-წვივის სახსრის მოტეხილობა-ამოვარდნილობა (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	4	1030	4,120
	ნებისმიერი ლოკალიზაციის მეტალოკონსტრუქციის ამოღება	პაციენტი	6	851	5,106
D 16 M 85,0	ძვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეები(ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	8	1260	10,080
T 14,3	რბილი ქსოვილების დაზიანება, იოგების და მყესების გაგლეჯით (ოპერაციული მკურნალობა)	პაციენტი	3	840	2,520
T 14,2	ბეჭის, ლავიწის, ბოქვენისა და სხვა ძვლების მოტეხილობა (ოპერაცია ოსტეოსინთეზით)	პაციენტი	6	1400	8,400
T 12	კვირისთავის მოტეხილობა(ოსტეოსინთეზი)	პაციენტი	5	700	3,500
M 16	დისპლაზიური ქოქსართროზი(ენდოპროტეზირება)	პაციენტი	50	3280	164,000
S72	მენჯბარძაყის სახსარშიდა მოტეხილობა (ენდოპროტეზირება)	პაციენტი	34	3280	111,520
	სხვა სახსრების ენდოპროტეზირების	პაციენტი	20	3280	65,600
T 08	ნებისმიერი ლოკალიზაციის მოტეხილობის კონსერვატიული მკურნალობა (ჩონჩხოვანი დაჭიმვა)	პაციენტი	6	630	3,780
8	**უროლოგია**				0
N20	თირკმლისა და შარდსაწვეთის კენჭები (ოპერაციული მკურნალობა და ლითოტრიფსია)	პაციენტი	7	578	4,046
I 86,1	პროსტატის ჰიპერპლაზია (ოპერაციული მკურნალობა. ტრანსურეთრალური ელექტრორეზექცია)	პაციენტი	7	980	6,860
	შარდის ბუშტის სიმსივნური წარმონაქმნები	პაციენტი	4	980	3,920
J 86.1	ვარიკოცელე	პაციენტი	7	470	3,290

N 43	ჰიდროცელე	პაციენტი	3	470	1,410
N 21	შარდის ბუშტის კენჭი	პაციენტი	4	560	2,240
N13,5	პიელოურეთრალური კუთხის სტრიქტურა	პაციენტი	5	1470	7,350
	ურეთრის პროსტატის ნაწილის პოსტოპერაციული სტრიქტურა	პაციენტი	6	1260	7,560
N13,8	სხვა ობსტრუქციული და რეფლუქს-უროპათია	პაციენტი	4	1260	5,040
	სათესლე ჯირკვლის და დანამატის კეთილთვისებიანი სიმსივნეები	პაციენტი	3	350	1,050
9	ქირურგია				0
E 04.9	კვანძოვანი ჩიყვი (არატოქსიური, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული)	პაციენტი	9	665	5,985
E 05.2	თირეოტოქსიკოზი მრავალკვანძოვანი ტოქსიური ჩიყვი, ტოქსიური კვანძოვანი ჩიყვი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული. დიფუზური ტოქსიური ჩიყვი	პაციენტი	3	770	2,310
K 80	ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი –ოპერაციული მკურნალობა მათ შორის ოპერაცია ლაპარასკოპით	პაციენტი	30	840	25,200
K 40.0 41.0	საზარდულის ცალმხრივი თიაქარი,ბარძაყის თიაქარი	პაციენტი	50	595	29,750
K 42.0, 45.0	ჭიპის თიაქარი, მუცლის კედლის სხვა დაზუსტებული თიაქარი	პაციენტი	5	595	2,975
K 45.0	მუცლის კედლის გიგანტური თიაქარი (ოპერაცია ბადით)	პაციენტი	5	910	4,550
K 80,5	ქოლედოქოლითიაზი - მექანიკური სიყვითლე	პაციენტი	3	1820	5,460
K 22,5 K 44	დიაფრაგმისა და საყლაპავის თიაქარი	პაციენტი	5	1050	5,250
K 86,2	პანკრეასის კისტა	პაციენტი	5	1400	7,000

K 59,5	დოლიხომეგაკოლონი (გადიდებული მსხვილი ნაწლავი)	პაციენტი	3	1680	5,040
	რბილი ქსოვილების ღრმა ფლეგმონა	პაციენტი	4	700	2,800
	კანისა და რბილი ქსოვილების ტროფიკული წყლული (კონსერვატიული მკურნალობა)	პაციენტი	4	630	2,520
10.	**მეანობა**			0	0
	მშობიარობა	მშობიარე	589	500	294,500
	საკეისრო კვეთა სამედიცინო ჩვენებით	მშობიარე	169	800	135,199
11.	**ონკოლოგია**				0
D 24	სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეები (კვანძოვანი მასთოპათია, ფიბროადენომა, კისტოზი)	პაციენტი	4	560	2,240
D23 D20	კანისა და რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნეები	პაციენტი	4	490	1,960
12.	**ყბა-სახის ქირურგია**				0
T 02	სახის ძვლების მოტეხილობა (ოპერაცია ოსტეოსინთეზით)	პაციენტი	5	700	3,500
	ყბა სახის მიდამოს კისტა	პაციენტი	5	350	1,750
	ყბაყურა სანერწყვე ჯირკვლების კეთილთვეისებიანი სიმსივნეები	პაციენტი	5	840	4,200
სულ სოციალური უზრუნველყოფა					**1,250,000**
III	არაფინანსური აქტივები				
სულ არაფინანსური აქტივები					
სულ ჯამი					**1,250,000**

10. **საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:**

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი	I-IV კვარტალი	შესყიდვა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით.	1,250,000	

დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

კომპონენტი განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბენეფიციარის მკურნალობის ღირებულებას თითოეული ნოზოლოგიისათვის დააფინანსებს კომპონენტით დამტკიცებული ფიქსირებული თანხით. კომპონენტის რესურსტევადობის გამო, გამოყენებული იქნება პაციენტების მხრიდან თანადაფინანსებისა და მოცდის პრინციპი. კომპონენტით განხორციელებული მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური შესრულებული სამუშაოს ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს კომპონენტით გათვალისწინებული ფიქსირებული თანხისა; ორი კოდით მკურნალობის შემთხვევაში ბენეფიციარის მკურნალობა დაფინანსდება ძვირადღირებული ნოზოლოგიით გათვალისწინებული ფიქსირებული თანხითა და მეორე ნოზოლოგიის კომპონენტით გათვალისწინებული ფიქსირებული თანხის 50%-ით. კომპონენტით მისაწოდებელი მომსახურების პირობებს, ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტი	I-IV კვარტალი	შესყიდვა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით.	1,250,000	

დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

კომპონენტი განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბენეფიციარის მკურნალობის ღირებულებას თითოეული ნოზოლოგიისათვის დაფინანსებს კომპონენტით დამტკიცებული ფიქსირებული თანხით. კომპონენტის რესურსტევადობის გამო, გამოყენებული იქნება პაციენტების მხრიდან თანადაფინანსებისა და მოცდის პრინციპი. კომპონენტით განხორციელებული მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური შესრულებული სამუშაოს ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს კომპონენტით გათვალისწინებული ფიქსირებული თანხისა; ორი კოდით მკურნალობის შემთხვევაში ბენეფიციარის მკურნალობა დაფინანსდება ძვირადღირებული ნოზოლოგიით გათვალისწინებული ფიქსირებული თანხითა და მეორე ნოზოლოგიის კომპონენტით გათვალისწინებული ფიქსირებული თანხის 50%-ით. კომპონენტით მისაწოდებელი მომსახურების პირობებს, ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

1. კომპონენტის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის მომენტში. კომპონენტის ბენეფიციარებს წარმოადგენენ: 60–დან 65 წამდე ასაკის მამაკაცები; 18 დან 60 წლამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მიჩიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილის ოჯახის წევრები; ოსსტრაფოლთა თანშესაფარის კონტინგენტი; მარტოხელა დედები.

ფვილი) ოჯახის დეკრეტი; უსახლკარობა [illegible]

2. კომპონენტით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით და „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის № 165 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეები, ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლეები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სადაზღვევო პაკეტი არ ითვალისწინებს გეგმიურ ქირურგიულ მკურნალობას.

კომპონენტის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა. ასევე არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ).

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა IV- 100/ა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- კომმპონენტის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

დ) კომპონეტით გათვალისწინებული ნოზოლოგიები

კომპონეტით გათვალისწინებული ნოზოლოგიების ფიქსირებული თანხა განისაზღვრა სამედიცინო დაწესებულებების მიერ 2011-2012 წ. მოწოდებულ შიდა სტანდარტის ტარიფებზე დაყდნობით, ხოლო პაციენტთა რაოდენობა კი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

ს წ ო რ ი ა: